საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14.04.028.030) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

სააქციო საზოგადოება „მ²“ ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2014 წ. ივლის-აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის კორპუსისა და ქავთარაძის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის კორპუსისა და ქავთარაძის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.04.028.030) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2014 წლის ივნის-ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ გეოლოგი ა. პასიკაშვილი. მათ მიერ შესრულებული თიხოვანი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა. რაც შეეხება კლდოვან გრუნტების მათი თვისებების გამოკვლევა ჩატარებულია საქართველოს გ. წულიკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა (პროგრამა) ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების მარილშემცველობაზე ..... 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 9 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... ფურც.

პროექტით საკვლევ ობიექტზე უნდა აშენდეს დიდი კორპუსი, რომელიც შედგება 8 ბლოკ-სექციისაგან.

I-IV – ბლოკ-სექცია – 10 სართულიანია

V-VI – ბლოკ-სექცია – 8 სართულიანია

VII-VIII ბლოკ-სექცია – 15 სართულიანია.

I და VI – ბლოკ-სექციების ზომებია გეგმაზე - 14×56.8 მ

დანარჩენი ბლოკების ზომებია გეგმაზე 14×28.4 მ.

კონსტრუქციული კორპუსი გადაწყვეტილია რკინაბეტონის ჩარჩოთი. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეომორფოლოგია, გეოლოგია და ჰიდროგეოლოგია.

მოედნის გეოლოგიური პირობების დადგენისათვის გაბურღილი იქნა 21 ჭაბურღილი, ასევე გაყვანილი იქნა 22 შურფბურღილი. მათი საერთო სიგრძემ შეადგინა 356 მეტრი.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები.

1. ფენა – 1 – ნიადაგი (t, Q_{IV});
2. ფენა – 2 – ნაყარი (t, Q_{IV});
3. ფენა – 3 – ძლიერ გამოფიტული არგილითები და ქვიშები (p_2^3)
4. ფენა – 4 – სუსტად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები (p_2^3).

ანგარიშში მოცემულია ძლიერ და სუსტად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების დეტალური დახასიათება. მათი საანგარიშო მაჩვენებლები. როგორც აღვნიშნეთ ძირითადი ქანების სიმტკიცის მაჩვენებლები განისაზღვრა სამთო საქმის ინსტიტუტში.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი რეკომენდაციას იძლევა შენობა დაფუძნდეს ძირითად ქანებზე ან ფენა 3 ან ფენა 4-ზე, რასაც ვეთანხმებით.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩას შორის, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის
მეცნ. დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

Копия

Д И П Л О М

Я № I68I69

Настоящий диплом выдан Чохонелидзе Гуга Ильичу в том, что он в I96I году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт имени В.И.Ленина и в I972 году окончил полный курс названного института по специальности Гидрогеология и инженерная геология

Решением Государственной экзаменационной комиссии от 30 июня I972 года.

Чохонелидзе Г.И.

присвоена квалификация горного инженера-гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М.П. Ректор

Секретарь

Город Тбилиси " 2 " апреля I973 года.

Регистрационный № ГЕ-205.



საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01026010539
სახელი გუგა
გვარი ფხაკაძე
დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება ------
N° ღ 0266413
პირადი ხელმოწერა



მისამართი ------
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება
გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.
მოქმედების ვადა ------
ბ.ა.
თანამდებობის პირის ხელმოწერა

ს[...] ს[...], მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კაველაძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით, 1972 წელს დაამთავრა იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია.	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულე ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 93 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიე „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო -გეოლოგიურ პირობებზ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთ დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით